



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი: ო87. 8723037001

თარიღი: 06/02/2023

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი № 2

ქ. ახმეტა 1 თებერვალი, 2023 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იოსებ ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: შ.ხოხობაშვილი, გ.ბართიშვილი, გ. ქიბროწაშვილი,

თ.ბორჩაშვილი, ხ.იჩუაიძე, გ.შაშიაშვილი,

კ.მამულაშვილი, ზ.უძილაური, ბ.კაიშვილი,

გ.მამუჩარაშვილი, რ.გახუაშვილი, ლ.ვაჩიშვილი,

გ. ონიაშვილი, ე.ბაღაკაშვილი, ზ.ფიცხელაური,

თ.მოზაიძე, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი,

ე.ფეტვიაშვილი, ფ.შიომღვდელიშვილი, ს.ბაბუღაიძე,

კ.მუსაური, გ.შორთიშვილი, შ.ტერტერაშვილი.

სხდომა გაიხსნა 12⁰⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ ქარუმაშვილმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

2. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

4. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა იერარქიული რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

5. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა იერარქიული რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

6. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

7. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

8. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №56 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

9. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში, II- სართულზე მდებარე 14.8კვ.მ ფართობის (50.04.42.597) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

სხდომას ესწრება - 25 საკრებულოს წევრი

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 9 თ.მოზაიძე, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი,

ე. ფეტვიაშვილი, ფ. შიომღვიმელი,

კ. მუხაური, ს. ბაბულაძე, გ. შორთიშვილი, შ. ტერტერაშვილი.

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

დადგენილების მიზანია მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 და #2476, 2023 წლის 23 იანვრის N147 განკარგულებებით გამოყოფილი თანხებისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის სასაზღვრო ანგარიშზე არსებული ნაშთის ასახვა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება - 25 საკრებულოს წევრი

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 1 შ.ტერტერაშვილი.

მონაწილეობა არ მიიღო - 8 თ.მოზაიძე, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი,

ე.ფეცვიაშვილი, ფ.შიომღვდლიშვილი, კ.მუხაური, ს.ბაბუღაიძე, გ.შორთიშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება: № : 8 „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

განმარტებითი ბარათი თან ახლავს ოქმს.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო ცვლილება:

ა.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

--ნორმატიულ აქტში არსებული ტექნიკური უზუსტობის შესწორების აუცილებლობა

--დანართის მე-9 მუხლის 21-ე პუნქტის დაზუსტების აუცილებლობა

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი:

--ნორმატიულ აქტში არსებული ტექნიკური უზუსტობის შესწორება

--დანართის მე-9 მუხლის 21-ე პუნქტის დაზუსტება

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე -7 მუხლის მე- 11 პუნქტის შემდეგ ნუმერაცია შესწორდეს და განისაზღვროს როგორც მე-12 პუნქტი, რომელიც ჩამოყალიბდება იმავე შინაარსით:

„12. პროგრამით გათვალისწინებული თანხა გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების წესით.“

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-9 მუხლის 21-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი დაზუსტდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ფორმა NIV/100-ა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ /დიაგნოზი შესაბამისი კლასიფიკატორით და პამპერსის ზომის მითითებით/;“

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-9 მუხლის 21-ე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ფორმა N IV/100-ა -ს შესაბამისი ინვოლისი აფთიაქიდან.“

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება - 25 საკრებულოს წევრი

მომხრე - 18

მონაწილეობა არ მიიღო - 7 თ.მოზაიძე, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი, გ. უძილაური, ე. ფეტვიაშვილი, გ. შორთიშვილი, შ. ტერტერაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება: № 9: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ა) საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებების საჭიროება გამოწვეულია საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 2022 წლის 16 დეკემბერს შეტანილი ცვლილებებით (№2436-IXმს-XXმპ), რომელიც ამოქმედდა 2022 წლის 29 დეკემბრიდან.

ცვლილებები შეეხო საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს თავმჯდომარის და მუნიციპალიტეტის მერის ზოგიერთ უფლებამოსილებას, კერძოდ, კანონში კონკრეტულად ჩაიწერა ამ ორგანოების (თანამდებობის პირების) ფუნქციები საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხების შეტანასთან დაკავშირებით.

ასევე შეიცვალა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის გამო საქართველოს მთავრობის მიერ მუნიციპალიტეტის ორგანოების დათხოვნისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღების ზოგიერთი წესი. სახელდობრ, ასეთ შემთხვევაში მთავრობა დაითხოვს მხოლოდ საკრებულოს.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-12 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტები უნდა შეესაბამებოდეს კანონს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება - 25 საკრებულოს წევრი

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 9 თ.მოზაიძე, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი,

ე. ფეტვიაშვილი, ფ. შიომღველიშვილი, კ. მუხაური, ს. ბაბუღიაძე, გ. შორთიშვილი, შ. ტერტერაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება: № 10: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა იერარქიული რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო ცვლილება:

დადგენილებაში ცვლილების საჭიროება გამოწვეულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან სამართლებრივი ზედამხედველობის ფორმატში მიღებული შენიშვნის გამო. კერძოდ, მოხელეთა სარგოების ოდენობები განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და ამავე კანონის №2 დანართის №2 ცხრილით განსაზღვრული ზედა ზღვრის კოეფიციენტისა და საბაზო თანამდებობრივ სარგოზე ნამრავლით. 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად, საბაზო თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1210 ლარს, რის გამოც სარგოს ოდენობა უნდა დადგინდეს კოეფიციენტზე ზუსტი

ნამრავლით, რაც შეადგენს აპარატის უფროსის მიმართ 2783 ლარს, ხოლო პირველი კატეგორიის სპეციალისტის მიმართ - 1331 ლარს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება - 25 საკრებულოს წევრი

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 9 თ.მოზაიძე, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი,

ე. ფეტვიაშვილი, ფ. შიომღვიმელი,

კ. მუხაური, ს. ბაბუღიაძე, გ. შორთიშვილი, შ. ტერტერაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება: № 11 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა იერარქიული რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა იერარქიული რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

დადგენილებაში ცვლილების საჭიროება გამოწვეულია საკრებულოს აპარატის სამი საჯარო მოხელისათვის კატეგორიის ცვლილებით, კერძოდ, მეორე კატეგორიის ნაცვლად პირველი კატეგორიის მინიჭებით, რაც ასევე იწვევს თანამდებობრივი სარგოს ოდენობის ცვლილებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება - 25 საკრებულოს წევრი

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 9 თ.მოზაიძე, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი,

ე. ფეტვიაშვილი, ფ. შიომღვიმელი,

კ. მუხაური, ს. ბაბუღიაძე, გ. შორთიშვილი, შ. ტერტერაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება: № 12 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა იერარქიული რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ა. ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზნით:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზნით არის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის N GOV 6 23 00000320 10/01/2023 წლის წერილით დადგენილია მცირე ტექნიკური ხარვეზი, მერიის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის წესში, კერძოდ, თანამდებობრივი სარგოები უნდა განსაზღვრულიყო ყოველგვარი მათემატიკური დამრგვალების გარეშე, რასაც მოქმედი საშტატო ნუსხა არ ითვალისწინებს.

ა. ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით ცვლილება შედის დადგენილებით დამტკიცებულ დანართ N1-ში (ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები), რათა შესრულდეს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის N GOV 6 23 00000320 10/01/2023 წერილით დადგენილი მცირე ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება - 25 საკრებულოს წევრი

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 9 თ.მოზაიძე, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი,

ე. ფეტვიაშვილი, ფ. შიომღვიმელი,

კ. მუხაური, ს. ბაბუღიაძე, გ. შორთიშვილი, შ. ტერტერაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება: № 13 „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ა.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის პროექტი „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N29 დადგენილების ცვლილება, მოიცავს 10 საშტატო პოზიციაზე, მესამე რანგის საჯარო მოხელეთათვის, შიდა კონკურსის წესით, ერთი კატეგორიით ზემდგომ პოზიციაზე დაწინაურების შესაძლებლობას, რათა მუნიციპალიტეტმა შეძლოს ჯეროვნად შეასრულოს საკუთარი უფლებამოსილებები, საჯარო მოსამსახურეთა მოტივაციის ზრდით. **ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი**

ნორმატიული აქტის პროექტი „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N29 დადგენილების ცვლილება, მოიცავს 10 საშტატო პოზიციაზე, მესამე რანგის საჯარო მოხელეთათვის, შიდა კონკურსის წესით, ერთი კატეგორიით ზემდგომ პოზიციაზე დაწინაურების შესაძლებლობას, რათა მუნიციპალიტეტმა შეძლოს ჯეროვნად შეასრულოს საკუთარი უფლებამოსილებები, საჯარო მოსამსახურეთა მოტივაციის ზრდით.

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

ნორმატიული აქტის პროექტი „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N29 დადგენილების ცვლილება, მოიცავს 10 საშტატო პოზიციაზე, მესამე რანგის საჯარო მოხელეთათვის, შიდა კონკურსის წესით, ერთი კატეგორიით ზემდგომ პოზიციაზე დაწინაურების შესაძლებლობას, რათა მუნიციპალიტეტმა შეძლოს ჯეროვნად შეასრულოს საკუთარი უფლებამოსილებები, საჯარო მოსამსახურეთა მოტივაციის ზრდით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება - 25 საკრებულოს წევრი

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 9 თ.მოზაიძე, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი,

ე. ფეტვიაშვილი, ფ. შიომღვიმელი,

კ. მუხაური, ს. ბაბუღიაძე, გ. შორთიშვილი, შ. ტერტერაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება: № 14 „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №56 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №56 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას მასზე, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე დაშვებულ იქნეს გამონაკლისი და ამ კატეგორიის საჯარო მოსამსახურეთა რიცხვზღობა განისაზღვროს 13 (ცამეტი) ერთეულით:

- ა) მიკროავტობუსის მძღოლი - 1;
- ბ) სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მძღოლი -1;
- გ) მძღოლები მერიაში - 4;
- დ) ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სპეციალისტი - 1;
- ე) მერის მრჩეველი - 2;
- ვ) მერის თანაშემწე - 1;
- ზ) მერის მისაღების კოორდინატორი (მდივანი) -1;
- თ) ტექნიკური სპეციალისტი - 1;
- ი) მერის წარმომადგენელი ეთნიკური უმცირესობების საკითხებში - 1.“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება - 25 საკრებულოს წევრი

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 1 გ. შორთიშვილი

მონაწილეობა არ მიიღო - 8 თ.მოზაიძე, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი,

ე. ფეტვიაშვილი, ფ. შიომღვიმელი, კ. მუხაური, ს. ბაბუღიაძე, შ. ტერტერაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება: №3 „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №56 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში, II- სართულზე მდებარე 14.8კვ.მ ფართობის (50.04.42.597) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს - განახორციელოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში, II- სართულზე მდებარე 14.8კვ.მ ფართის „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური“-სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი 212273868) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით გადაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება - 25 საკრებულოს წევრი

მომხრე - 17

**მონაწილეობა არ მიიღო - 8 თ.მოზაიძე, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი,გ.შორთიშვილი
ე.ფეცვიაშვილი, ფ.შიომღვდლიშვილი, კ.მუხაური,შ.ტერტერაშვილი.**

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება: №4 მოისმინეს:ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში, II- სართულზე მდებარე 14.8კვ.მ ფართობის (50.04.42.597) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

საკრებულოს სხდომა დაიხურა 13:15საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

